მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.16.06.039.043**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია **მომზადების თარიღი**

N 882022705873 - 28/09/2022 11:41:11 **04/10/2022 18:00:03**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ჩუღურეთი		
01	**16**	**06**	**039/043**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეძათხევის N20 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ვეძათხევის , N 20-ის მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1187.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.16.06.039.037; 01.16.06.039.042;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021702027 , თარიღი 19/08/2021 17:34:40
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/08/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N378395 , დამოწმების თარიღი:24/08/2022 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:19/08/2021 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "აპარტ დეველოპმენტი" , ID ნომერი:405477577

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "აპარტ დეველოპმენტი"
შპს "აპარტ დეველოპმენტი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019478123 თარიღი 18/06/2019 09:24:15

გამყიდველი: **სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო** 204521794;
მიწის ნაკვეთების განვითარება შესაძლებელია არსებული ისტორიული განაშენიანების გაბარიტებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით;

პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №-460-ვ-23270, დამოწმების თარიღი:13/05/2019, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/06/2019

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი NE-460-ვ-23270 , დამოწმების თარიღი:03/05/2019 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო,

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N26557, დამოწმების თარიღი:17/06/2019 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო,

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019712737 თარიღი 02/09/2019 10:08:38

გამყიდველი: **სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი** 204521794;
საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 635.00 კვ.მ. ;
სააუქციონო პირობა: სამშენებლო განვითარების დროს გათვალისწინებული იქნეს უბნის ისტორიული განაშენიანების მორფოლოგია და მასშტაბი;

უფლების

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N46690, დამოწმების თარიღი30/08/2019, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის

რეგისტრაცია: სააგენტო
თარიღი 06/09/2019

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

34566951998922

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221382859

რეგისტრაციის თარიღი

11.10.2022 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის ქ. N6
ტელეფონი: 593326161

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის თერთმეტ ოქტომბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6 მომმართა **გიგა მეტრეველმა,** რომელმაც განაცხადა,რომ მას, როგორც **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405477577)** დირექტორს სურს მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიგა მეტრეველმა** (დაბ. 28.01.1990წელს, პ/ნ 01010012538, რეგისტრ. მისამართზე: თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 38 ბ. 21) მომმართა.

მე აგრეთვე შევამოწმე **გიგა მეტრეველის** უფლებამოსილება, კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ405477577)** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22002558, 17/01/2022 15:24:33.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე დავადგინე მისი, როგორც **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405477577)** დირექტორის ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე, მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი.

მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, გიგა მეტრეველმა, როგორც **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405477577) დირექტორმა,** რომელიც შემდეგ ამ მინდობილობაში წოდებულია ,,მიმნდობი" ამ მინდობილობით **გურამი ციმაკურიძეს** [დაბ. **02.04.1991წ. პ/ნ 01011076949**], რომელიც შემდეგში ამ მინდობილობაში წოდებულია ,,მინდობილი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

"მინდობილი პირი" უფლებამოსილია დაარეგისტრიროს **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405477577)** სახელზე არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო ორგანოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის: იუსტიციის სამინისტროში და მასში შემავალ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ტექ.ბიუროში, სანოტარო ბიუროში, არქივებში, მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, საპატრულო პოლიციაში, ზედამხედველობის სამსახურში, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საამზომველო ფირმებში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ლეგალიზაციის კომისიაში, კავშირგაბმულობის, კომუნიკაციებით წყლით, დენით, ბუნებრივი აირით და სხვ.) უზრუნველყოფის სამსახურებთან ურთიერთობისას, **შპს "აპარტ დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405477577)** სახელით გააკეთოს ნებისმიერი შინაარსის განცხადება, მოახდინოს უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ფართის დაზუსტება, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, მისამართის მინიჭება/შეცვლა, კორექტირება, ნომრის მინიჭება, საკადასტრო მონაცემების შესწორება, წითელი ხაზების/საზღვრის დადგენა/კორექტირება ფუნქციის შეცვლა და სხვ.); მოახდინოს უძრავი ქონების ლეგალიზება, აღიარება, დაკანონება, რეგისტრაცია, შენობის დემონტაჟი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარემონტო სამუშაოების წარმოება, კომუნიკაციის საშუალებების (ტელეფონი, ტელევიზია, ინტერნეტი), წყლის, ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის შეყვანა, მრიცხველების დამონტაჟება, აბონენტად რეგისტრაცია, პროექტის წარდგენა, შეთანხმება, პროექტში ცვლილების შეტანა/კორექტირება, ნებართვის მიღება და უძრავი ქონებ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღება, რისთვისაც მინდობილი პირი უფლებამოსილია იმოქმედოს ჩემი სახელით, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია (ამონაწერი, ცნობა, მოწმობა, ასლი), ნებართვა, ნახაზი, ფოტომონტაჟი და ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონულად), სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში, დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, აღმოფხვრას ხარვეზი, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, თანხმობა, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს (მათ შორის ელექტრონულად), შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2023 წლის 11 ოქტომბერამდე;

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იურიდიული პირის წარმომადგენლის - დირექტორის უფლებამოსილება ჩემს მიერ დაადგენილია/შემოწმებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ წარმოებული რეესტრიდან.
მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31–ე მუხლის საფუძველზე 30.00 ლარი 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 5.54 ლარი ჯამში: 40.40 ლარი.

ხელმოწერა: ______________

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი

